186
1987/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN—0132—4241

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3

მაისი—ივნისი

1987 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

14 679

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3 მაისი—ივნისი 1987 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

17. საავტომობილო ტრანსპორტის უავარიო მუშაობისა და ტექნიკური საიმედოობისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

18. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 12 მარტის № 333 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ
19. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 3 აპრილის № 403 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ
20. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 3 აპრილის № 402 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

21. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან სამეურნეოანგარიშიანი საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსები“ შექმნის ექსპერიმენტის განხორციელების შესახებ
22. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო განათლების რესპუბლიკური საუწყებათაშორისო კომისიის დებულების შესახებ
23. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სახალხო განათლების საუწყებათაშორისო კომისიების სანიმუშო დებულების შესახებ
24. საქართველოს სსრ ქალაქებში გადიდებულსართულიანი საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების მშენებლობის შესახებ.
25. საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, კომპოზიტორ გ. გ. ცაბაძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ
26. სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვ. ი. ანჯაფარიძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ
27. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გ. ს. ჩიტაიას ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

17 საავტომობილი ტრანსპორტის უავარიო მუშაობისა და ტექნიკური საიმედოობისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ, ასრულებენ რა სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს, რესპუბლიკის ავტოსატრანსპორტო საწარმოთა შრომითმა კოლექტივებმა, რომლებიც მონაწილეობენ მეთორმეტე ხუთწლედში სახალხო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებისათვის, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, საწვავ-საზეთი და სხვა მასალების ეკონომიისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში, რამდენადმე გააუმჯობესეს მაჩვენებლები გასულ წელთან შედარებით.

მაგრამ ავტოსატრანსპორტო საწარმოებში მოძრაობის უსაფრთხოების სამსახურებისა და ქვედანაყოფების ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო ავარიულობის დონე კვლავ მაღალია.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიერ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების წარმატებით რეალიზაციისათვის საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას, მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, აგრეთვე რესპუბლიკის საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამინისტროთა, უწყებათა და ორგანიზაციათა საავტომობილო ტრანსპორტის გაერთიანებებისა და საწარმოების მუშაობის შემდგომი აქტივიზაციის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მოეწყოს საავტომობილო მეურნეობების მქონე სამინისტროთა და უწყებათა საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრება საავტომობილო ტრანსპორტის უავარიო მუშაობისა და ტექნიკური საიმედოობისათვის.

შეჯიბრების ძირითად ამოცანად, სახალხო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვის სახელმწიფო დავალებათა წარმატებით შესრულებასთან ერთად, ჩაითვალოს ავტოსატრანსპორტო საწარმოთა კოლექტივებში შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცება, საავტომობილო ტრანსპორტის მაღალი ტექნიკური მზადყოფნის უზრუნველყოფა, სატრანსპორტო სა-

შუალებათა სწორი ექსპლუატაციისათვის მძღოლთა შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტიურობის განვითარება, ავტოტრანსპორტის ტექნიკური მუშაკის კვალიფიკაციისა და პროფესიული ოსტატობის ამაღლება, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა თავიდან აცილებისათვის მათი პერსონალური პასუხისმგებლობის გაძლიერება.

დამტკიცდეს საავტომობილო ტრანსპორტის უავარიო მუშაობისა და ტექნიკური საიმედოობისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების საკოორდინაციო და შედეგების შემაჯამებელი კომისიის შემადგენლობა, № 1 დანართის თანახმად[1].

დამტკიცდეს საავტომობილო ტრანსპორტის უავარიო მუშაობისა და ტექნიკური საიმედოობისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობები, № 2 დანართის თანახმად.

დამტკიცდეს საავტომობილო ტრანსპორტის უავარიო მუშაობისა და ტექნიკური საიმედოობისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების მაჩვენებლები, № 3 დანართის თანახმად.

2. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, პროფკავშირთა საოლქო საბჭოებმა, რესპუბლიკურმა, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა:

— გაშალონ ავტოსატრანსპორტო საწარმოთა შრომითს კოლექტივებში ფართო პოლიტიკურ-აზსნაგანმარტებითი მუშაობა საავტომობილო ტრანსპორტის უავარიო მუშაობისა და ტექნიკური საიმედოობისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების მოსაწყობად, წარმართოს იგი ავტოსატრანსპორტო საშუალებათა სანიმუშო მოვლის, ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და საგზაო მოძრაობის წესების განუხრელი შესრულების უზუნველსაყოფად;

— მიიღონ დამატებითი ზომები მოძრაობის უსაფრთხოების სამსახურებისა და ქვედანაყოფების მუშაობის გასაუმჯობესებლად, სახალხო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვის გეგმების, საავტომობილო ტრანსპორტის უავარიო მუშაობისა და ტექნიკური საიმედოობისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობების წარმატებით შესრულებისათვის ავტოსატრანსპორტო საწარმოთა კოლექტივებში ხელშემწყობი პირობების შესაქმნელად;

— სრულყონ ავტოსატრანსპორტო საწარმოთა კოლექტივების შრომის ორგანიზაცია ბრიგადული სამეურნეო ანგარიშისა და ბრიგადული იჯარის საყოველთაო დანერგვის გზით;

— ეფექტიანად და მიზანდასახულად გამოიყენონ საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკთა მორალური და მატერიალური წახალისების ახალი, პროგრესული ფორმები და მეთოდები გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის, საწვავ-საზეთი და სხვა მასალების

1. დანართი არ იბეჭდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიისათვის, ავტომობილების სანიმუშო ტექნიკური მოვლისა და უავარიო მუშაობისათვის;

— საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის ორგანოებთან ერთად განახორციელონ ღონისძიებანი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ავტოტრანსპორტის მუშაობის გარდაქმნისათვის, მიიღონ უმკაცრესი სასჯელის ზომები, მათ შორის მისცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში ავტოტრანსპორტის მუშაკები, რომლებიც არღვევენ ტრანსპორტის გამართულ ტექნიკურ მდგომარეობაში მოვლის წესებს და უგულებელყოფენ საგზაო მოძრაობის წესებს;

— საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად შეამოწმონ რეისის წინ მძღოლთა სამედიცინო გასინჯვის დადგენილი წესის დაცვის მდგომარეობა, მიიღონ ზომები მძღოლთათვის საჭირო შრომისა და დასვენების პირობების შესაქმნელად.

3. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ:

— უზრუნველყოს საავტომობილო ტრანსპორტის უავარიო მუშაობისა და ტექნიკური საიმედოობისათვის რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკთა აქტიური მონაწილეობა, მათ მიერ ავტოსატრანსპორტო საწარმოთა კოლექტივებში ლექციებისა და საუბრების ჩატარება ავტოტრანსპორტის გამართულ მდგომარეობაში მოვლის, საგზაო მოძრაობის წესების დაცვის, საავტომობილო ტრანსპორტზე დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების საკითხებზე;

— საავტომობილო ტრანსპორტის უავარიო მუშაობისა და ტექნიკური საიმედოობისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთ ძირითად ამოცანად მიიჩნიოს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა პროფილაქტიკა და ლიკვიდაცია, რესპუბლიკის საავტომობილო გზებზე მოძრაობის წესების განუხრელი დაცვა და სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარება;

— რესპუბლიკის საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებთან ერთად გააანალიზოს საავტომობილო ტრანსპორტის უავარიო მუშაობისა და ტექნიკური საიმედოობისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა, ჩაატაროს საავტომობილო გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების დათვალიერება-კონკურსები, უზრუნველყოს შეჯიბრების განვითარებისათვის მუშაობის საჯაროობა, გაადიდოს ამ მიზნით საგზაო მოძრაობის წესების პროპაგანდის საკითხებზე პლაკატების ტირაჟი.

4. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრომ:

— განახორციელოს კონკრეტული დამატებითი ღონისძიებანი სარემონტო-სამშენებლო სამუშაოთა ხარისხის ასამაღლებლად, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უწინარეს ყოვლისა, იმ საავტომობილო გზებზე, სადაც ინტენსიურად მოძრაობს ავტოტრანსპორტი;

— გააძლიეროს მომთხოვნელობა საგზაო მეურნეობების ხელმძღვანელთა მიმართ საავტომობილო გზების გამართული მოვლა-პატრონობისათვის, სისტემატურად განახორციელოს მოძრაობისათვის გადიდებული საფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთხის მქონე ადგილებში საგზაო მოძრაობის პირობების გასაუმჯობესებლად სათანადო ღონისძიებათა კომპლექსი;

— განახორციელოს საავტომობილო გზებისა და ავტოსაგზაო ნაგებობათა დაპროექტება, მშენებლობა და რეკონსტრუქცია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ნორმატიული დოკუმენტების სრული შესაბამისობით.

5. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ:

— დააჩქაროს სამუშაოები იმისათვის, რათა რკინიგზის გადასასვლელები სავსებით შეესაბამებოდნენ გადასასვლელების მოწყობისა და მომსახურების ინსტრუქციის მოთხოვნებს;

— განახორციელოს დამატებითი ღონისძიებანი რკინიგზის გადასასვლელების მომსახურე პერსონალში შრომისა და საწარმოო დისციპლინის განსამტკიცებლად, განუწყვეტლივ აამაღლოს ამ კატეგორიის მუშაკთა კვალიფიკაციია და პროფესიული ოსტატობა, დღენიადაგ იზრუნოს მათი შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის.

6. საავტომობილო ტრანსპორტის უავარიო მუშაობისა და ტექნიკური საიმედოობისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა წასახალისებლად დაწესდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ორი გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომები და ფულადი პრემიები შეჯიბრების პირობების შესაბამისად.

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები შეჯამდეს წლიური მუშაობის მაჩვენებლების მიხედვით.

7. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებმა რეგულარულად გააშუქონ პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით საავტომობილო ტრანსპორტის უავარიო მუშაობისა და ტექნიკური საიმედოობისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის ამსახველი მასალები.

8. ამ დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხეიძე**	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **ვ. სირაძე**	საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ჯ. მარგველიძე**

ქ. თბილისი, 1987 წ. 25 ივნისი, № 328

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს კპკ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის 25 ივნისის № 328 დადგენილების დანართი № 2

პ ი რ ო ბ ე ბ ი

საავტომობილო ტრანსპორტის უავარიო მუშაობისა და ტექნიკური საიმედოობისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრებისა

I. შეჯიბრების ამოცანები

1. რესპუბლიკის ყველა სამინისტროს, უწყებისა და ორგანიზაციის ავტოსატრანსპორტო საწარმოების მძღოლთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მოსამსახურეთა, საზოგადოებრიობის ჩაბმა შრომის, საშემსრულებლო და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის, ავტოსაგზაო შემთხვევათა თავიდან აცილებისათვის, საავტომობილო ტრანსპორტის ტექნიკური საიმედოობის უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში.

2. ავტოსატრანსპორტო მეურნეობების მოძრაობის უსაფრთხოების სამსახურებისა და ქვედანაყოფთა ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მობილიზაცია ავტოსატრანსპორტო საშუალებათა სანიმუშო მოვლის, ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და საგზაო მოძრაობის წესების განუხრელი შესრულების უზრუნველსაყოფად.

3. საავტომობილო ტრანსპორტის ეფექტიანი გამოყენება სახალხო-სამეურნეო ტვირთების რიტმული გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანისათვის.

4. ავტოსატრანსპორტო საწარმოთა რეკონსტრუქციის დაჩქარება და უზრუნველყოფა პროგრესული ტექნიკური და ტექნოლოგიური დანადგარ-მოწყობილობით, ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალებისა და საავტომობილო გზის მოყვანა გამართულ ტექნიკურ მდგომარეობაში, ავტოტრანსპორტის მუშაკთათვის ჯანსაღი და უსაფრთხო შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების შექმნა.

5. სახალხო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკთა მორალური და მატერიალური წახალისების ფორმებისა და მეთოდების, შრომის ორგანიზაციის სრულყოფა, შრომის ნაყოფიერების ამაღლება, საწვავ-საზეთი მასალების ეკონომია, საავტომობილო ტრანსპორტისა და სპეციალური ტექნიკის რემონტის, ტექნიკური მომსახურების თანამედროვე მეთოდების დანერგვა, ტექნიკური კონტროლის მეთოდების შემდგომი სრულყოფა.

II. სოციალისტური შეჯიბრების პირობები

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრება ტარდება ყოველწლიურად 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მასში მონაწილეობენ რესპუბლიკის ყველა სამინისტროს, უწყებისა და ორგანიზაციის ავტოსატრანსპორტო საწარმოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილე ავტოსატრანსპორტო საწარმოთა მუშაობა ფასდება შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

1. საწარმოთა მიერ სახალხო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის საგეგმო მაჩვენებლების შესრულება.

2. საავტომობილო ტრანსპორტის მძღოლთა და სხვა მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება.

3. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა პროფილაქტიკა და რაოდენობის შემცირება.

4. სპეციალური სამედიცინო პუნქტების არსებობა, მათი მუშაობის მდგომარეობა და როლი ავტოსატრანსპორტო შემთხვევათა თავიდან აცილების საქმეში.

5. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საზოგადოებრივი კომისიების მუშაობის ქმედითობა.

6. მძღოლთა შორის დათვალიერება-კონკურსებისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების რეიდების ჩატარება და ეფექტიანობა.

7. სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

8. საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის ძირითადი მაჩვენებლების გაუმჯობესება, საწვავ-საზეთი მასალების ეკონომიის უზრუნველყოფა.

9. სატრანსპორტო დისციპლინის დაცვა, მძღოლთა მიერ არაფხიზელ მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებისა და საგზაო მოძრაობის წესების სხვა უხეში დარღვევების დაუშვებლობა.

10. ძოძრავი შემადგენლობის დაკომპლექტება სამედიცინო აფთიაქებით, ავარიული გაჩერების ნიშნებითა და ცეცხლსაქრობებით.

11. ავტოსატრანსპორტო მეურნეობათა ტერიტორიის მდგომარეობა (ტერიტორიისა და დამხმარე სათავსების სისუფთავე, საწვავ-საზეთი მასალებით გასაწყობი ადგილების მოვლა, სატრანსპორტო საშუალებებისა და მექანიზმების განლაგების წესი და ტერიტორიაზე მათი მოძრაობის სქემა). მოძრაობის უსაფრთხოების კაბინეტებისა და კუთხეების მოწყობა, საგზაო მოძრაობის წესების თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებათა არსებობა.

12. სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო სათავსებით (საშხაპეები, საგარდერობოები, სპეცტანსაცმლისა და სპეცფეხსაცმლის შესაკეთებელი, შესანახი, გასარეცხი და გასაწმენდი პუნქტები, სასადილო ოთახები, პირსაბანები და ა. შ.) უზრუნველყოფა.

13. სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მომსახურების განმხორციელებელი პოსტების არსებობა და № 1 და № 2 ტექნიკური მომსახურების შესრულება გარბენის თანახმად.

14. სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სრულყოფის თაობაზე რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვა, მათი დანერგვის ეკონომიკური ეფექტი.

15. ბუნების დაცვის ღონისძიებათა გეგმის შესრულება, გაზანალიზატორების არსებობა და მათი გამოყენების ეფექტიანობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების წესი

რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ავტოსატრანსპორტო საწარმოთა და ორგანიზაციათა ადმინისტრაცია და პროფკავშირის კომიტეტები საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის წარმომადგენელთან ერთად აჯამებენ რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესრულების წინასწარ შედეგებს და წარუდგენენ მასალებს შესაბამის სამინისტროებს, პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებს არა უგვიანეს 10 თებერვლისა, ხოლო ეს უკანასკნელნი წარუდგენენ მათ საავტომობილო ტრანსპორტის უავარიო მუშაობისა და ტექნიკური საიმედოობისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების საკოორდინაციო და შედეგების შემაჯამებელ კომისიას თანდართული ფორმის მიხედვით (დანართი № 3) არა უგვიანეს 25 თებერვლისა.

კომისია განსაზღვრავს გამარჯვებულთა კანდიდატურებს და 31 მარტამდე წარუდგენს წინადადებებს შეჯიბრების გამარჯვებულთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს.

დასაჯილდოებლად წარდგენილ იქნებიან ავტოსატრანსპორტო საწარმოები, რომელთაც აქვთ 50 და მეტი ავტომობილი, ხოლო ავტოსატრანსპორტო საწარმოებს, რომელთაც აქვთ 50-ზე ნაკლები ავტომობილი და მაღალი შედეგები მოიპოვეს რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში, წაახალისებენ შესაბამისი სამეურნეო ორგანოები.

IV. რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა წახალისება

საავტომობილო ტრანსპორტის უავარიო მუშაობისა და ტექნიკური საიმედოობისათვის რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ავტოსატრანსპორტო საწარმოები დაჯილდოვდებიან:

— შეჯიბრებაში ორ პირველ ადგილზე გამოსულნი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით, ამასთან თითოეულს მიეცემა ფულადი პრემია 2000 მანეთის ოდენობით და შესაბამისი დიპლომი;

— შეჯიბრებაში ორ მეორე ადგილზე გამოსულნი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით, ამასთან თითოეულს მიეცემა ფულადი პრემია 1500 მანეთის ოდენობით;

— შეჯიბრებაში სამ მესამე ადგილზე გამოსულნი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით, ამასთან თითოეულს მიეცემა ფულადი პრემია 1000 მანეთის ოდენობით.

გამარჯვებულთა პრემირება განხორციელდება ზემოაღნიშნული მიზნებისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს ანარიცხების ხარჯზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის 25 ივნისის № 328 დადგენილების დანართი № 3

მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი

საავტომობილო ტრანსპორტის უავარიო მუშაობისა და ტექნიკური საიმედოობისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრებისა ——— წლისათვის

1. საწარმოს სრული დასახელება, ბანკის ანგარიშის ნომერი ———

———

2. გვარი, სახელი და მამის სახელი:
   საწარმოს ხელმძღვანელისა ———
   პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარისა ———
   მოძრაობის უსაფრთხოების ინჟინრისა ———
   სახელმწიფო ავტოინსპექციის წარმომადგენლისა ———
3. საწარმოს სიობრივი შემადგენლობის მუშაკთა რაოდენობა საანგარიშო პერიოდის დამლევისათვის ——— კაცი
4. არსებული სატრანსპორტო საშუალებანი მიმდინარე წლის დამლევისათვის სულ (ცალი) ———
   მათ შორის:
   მსუბუქი ავტომობილი ———
   სატვირთო ავტომობილი ———
   სპეციალური ავტომობილი ———
5. სახალხო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის საგეგმო მაჩვენებლებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულება.
6. მოხდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები საწარმოს მუშაკთა მიზეზით ———, მათ შორის:
   სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური გაუმართაობის გამო ———
   არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ მძღოლთა მიზეზით ———
   სხვა მიზეზების გამო ———
   ამასთან: დაიღუპა ——— კაცი, დაშავდა ——— კაცი, გამოწვეულია მატერიალური ზარალი ——— მანეთის ოდენობით.
7. საწარმოს მძღოლთა მიერ საგზაო. მოძრაობის წესების დარღვევათა რაოდენობა ———, მათ შორის:
   ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტის მართვა ———
   არაფხიზელ მდგომარეობაში ავტოტრანსპორტის მართვა ———
   სხვა დარღვევები ———
8. საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის მართვის მოწმობაჩამორთმეულ მძღოლთა რაოდენობა ——— კაცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. პარკის ტექნიკური მზადყოფნის კოეფიციენტი ————————
10. ხაზზე სატრანსპორტო საშუალებათა გაშვების კოეფიციენტი ————————
11. ავარიულობის თავიდან აცილებისათვის მუშაობაში მონაწილე რაზმელ-ავტოინსპექტორთა რაოდენობა ————————
12. აღჭურვილი ჯანპუნქტის არსებობა ————————
    რაოდენობა მძღოლებისა, რომლებმაც გაიარეს სამედიცინო შემოწმება:
    რეისის წინ ———————— კაცი
    ხაზიდან დაბრუნების შემდეგ ———————— კაცი
13. გადაყენებულია სამუშაოდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ———— კაცი, მათ შორის არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ———————— კაცი
14. გაზანალიზატორების არსებობა ————————
15. სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო სადგომებით (საშხაპეები, საგარდეროები, სპეცტანსაცმლისა და სპეცფეხსაცმლის შესაკეთებელი, შესანახი, გასარეცხი და გასაწმენდი პუნქტები, დასასვენებელი ოთახი) უზრუნველყოფა ———————— პროცენტით.
16. რაოდენობა სატრანსპორტო საშუალებებისა, რომლებიც დაკომპლექტებული არაა:
    სამედიცინო აფთიაქებით ————————
    ავარიული გაჩერების ნიშნებით ————————
    ცეცხლსაქრობებით ————————
17. ავტომეურნეობის ტერიტორიის მდგომარეობა ————————
18. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებზე თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებათა არსებობა ————————
19. სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სრულყოფის თაობაზე შეტანილ რაციონალიზატორულ წინადადებათა რაოდენობა ————————
20. მოძრაობის უსაფრთხოების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის მუშაობა:
    მოძრაობის უსაფრთხოების რეიდების რაოდენობა ————————
    ხაზზე შემოწმდა ავტომობილი ————————
    გამოვლინდა და აღმოიფხვრა დარღვევა ————————
    რეისში გასვლის წინ შემოწმდა ავტომობილი ————————
    გარაჟში დაბრუნდა ავტომობილი ————————
21. ჩატარდა საუბრები, მოხსენებანი, ლექციები საგზაო მოძრაობის წესების პროპაგანდის საკითხებზე, სულ ————————
    მათ შორის:
    საკუთარი ძალებით ————————
22. რაოდენობა მძღოლებისა, რომლებიც უავარიოდ მუშაობენ სამი და მეტი წლის განმავლობაში, ————————
23. რაოდენობა მძღოლებისა, რომლებიც დაჯილდოებული არიან ნიშნით „უავარიო მუშაობისათვის“ ————————

24. მოძრაობის უსაფრთხოებისა და უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქციილ კაბინეტების (კუთხეების) არსებობა, იქ გაწეული მუშაობა.

საწარმოს (ორგანიზაციის)
ხელმძღვანელი

პროფკავშირის კომიტეტის
თავმჯდომარე

სახელმწიფო ავტოინსპექციის
წარმომადგენელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

18 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 12 მარტის № 333 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„ცალკეულ საზოგადოებრივ დავალებათა შესრულებისათვის მისაცემი დამატებითი შვებულების გაუქმების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 12 მარტის № 333 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

მე-2 პუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 8 აპრილის № 283 დადგენილებისა „საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების სამრეწველო საწარმოებში და სხვა ობიექტებზე ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების მოწყობის შესახებ“;

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 30 ივლისის № 453 დადგენილებით დამტკიცებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების დებულების 31-ე პუნქტი დამატებითი შვებულების მიცემის ნაწილში.

2. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თავისი 1987 წლის 12 მარტის № 333 დადგენილებით მიზანშეუწონლად ჩათვალა, რომ შემდგომში საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულებისათვის წახალისების სახით დამატებითი შვებულება მიეცეთ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების, ნებაყოფლობითი სახანძრო და გაზმაშველი რაზმეულების, ამხანაგური სასამართლოების წევრებს, აგრეთვე სახალხო კონტროლიორებს, იმ ვარაუდით, რომ ეს შეღავათები გამოყენებულ იქნეს მუშაობის მრავალცვლიან რეჟიმზე შრომითი კოლექტივების გადასვლის სტიმულირებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1987 წ. 6 მაისი, № 228

ეროვნული ბიბლიოთეკა

19 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 3 აპრილის № 403 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლის, დამატებისა და ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 3 აპრილის № 403 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 1 ივლისის № 476 დადგენილება „მოქალაქეთა შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვის შეზღუდვის შესახებ“;

— მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 23 სექტემბრის № 637 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 28 იანვრის № 98 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში ცვლილებათა შეტანის შესახებ“;

— მე-6 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 29 იანვრის № 47 დადგენილებისა „შინამრეწველ-ხელოსანთა, რეპეტიტორთა და კერძო სამედიცინო პრაქტიკის მქონე მოქალაქეთა გამოვლენისა და გადასახადით დაბეგვრისათვის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1987 წ. 6 მაისი, № 233

20 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 3 აპრილის № 402 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმდევარ პირთათვის პენსიების მიცემის წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 3 აპრილის № 402 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-12 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 30 ნოემბრის № 696 დადგენილებისა „მოხუცებულობის გამო პენსიონერთა და ინვალიდთა შრომის სახალხო მეურნეობაში გამოყენების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებებისა და ამასთან დაკავშირებული დამატებითი შეღავათების შესახებ“.

2. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 3 აპრილის № 402 დადგენილებით:

— დაწესდა, რომ პენსიონერთათვის ყველა სახეობის პენსიების მიცემისას არ აღირიცხება ინდივიდუალური შრომითი საქმიანობით მიღებული შემოსავალი;

— ძალადაკარგულად ჩაითვალა მე-5 პუნქტი მომუშავე პენსიონერთათვის პენსიების მიცემის წესის შესახებ სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებში შეტანილი ცვლილებებისა, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 11 სექტემბრის № 862 დადგენილებით „მუშაობის პერიოდში მოხუცებულობის პენსიის მიღების უფლების მქონე მუშაკთა კატეგორიების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ და დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 24 სექტემბრის № 662 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 19887 წ. 7 მაისი, № 238

21 თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან სამეურნეოანგარიშიანი საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ შექმნის ექსპერიმენტის განხორციელების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკაში გაიშალა მუშაობა სამეურნეო მექანიზმის გარდასაქმნელად, გაერთიანებათა და საწარმოთა დამოუკიდებლობის საზღვრების გასაფართოებლად, მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევისათვის მათი პასუხისმგებლობის ასამაღლებლად. ყველგან ფართოდ ინერგება სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პრინციპები, სრულყოფილი ხდება ყველა დონეზე მართვის ორგანიზაციული სტრუქტურები, გაცილებით მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, წარმოების დონის ამაღლების, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების საკითხებს. სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ხორციელდება გადასვლა მართვის ადმინისტრაციული მეთოდებიდან ეკონომიკურ მეთოდებზე.

ამასთანავე, როგორც პრაქტიკამ ცხადყო, სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის პირობებში წარმატებული მუშაობის უზრუნველსაყოფად საწარმოთა, ორგანიზაციათა და შესაქმნელ კოოპერატივთა ხელმძღვანელობას ესაჭიროება მაღალკვალიფიციური დახმარება საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის საკითხების მართვის სრულყოფის, მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდების დანერგვის, თვითმმართველობის პრინციპებით გათვალისწინებულ შესაძლებლობათა რაც შეიძლება ეფექტიანი გამოყენების, შრომითი კოლექტივების უფლება-მოვალეობათა გაფართოების, მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევისათვის მათი პასუხისმგებლობის ამაღლების საქმეში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს წინადადება, შეთანხმებული საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტთან და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან, და ნება დაერთოს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს შექმნას ექსპერიმენტის წესით ვადით 1989 წლის 1 იანვრამდე სამეურნეოანგარიშიანი საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსები“.

2. დამტკიცდეს თანდართული დროებითი დებულება თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული სამეურნეოანგარიშიანი საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ შესახებ.

3. ნება დაერთოს საკონსულტაციო ორგანიზაციას „ფინანსებს“ მიიწვიოს სამუშაოთა შესასრულებლად შესაბამისი პროფილის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშაკთაგან. დაწესდეს, რომ ძირითადი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს ზემოაღნიშნულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეციალისტთა მიერ საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ ფუნქციებთა ერთდროულად შესრულება არ ითვლება შეთავსებით მუშაობად.

4. დამტკიცდეს ექსპერიმენტის განხორციელების პერიოდისათვის საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ თანდართული საშტატო განრიგი.

5. საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ მომსახურება ანაზღაურდეს საწარმოთა, ორგანიზაციათა და კოოპერატივთა ხელფასის ფონდიდან.

6. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ განახორციელოს საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ მუშაობისადმი მეთოდიკური ხელმძღვანელობა მიმდინარე ექსპერიმენტის პირობებში.

7. დაევალოს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს უზრუნველყოს ამ ექსპერიმენტის წარმატებით განხორციელებისათვის საჭირო პირობები, აგრეთვე ქალაქ თბილისის საწარმოთა, ორგანიზაციათა, კოოპერატივთა და მოსახლეობის სათანადო ინფორმაცია სამეურნეოანგარიშიანი საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ შექმნისა და მის მიერ გასაწევი მომსახურების სახეობათა შესახებ.

8. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ექსპერიმენტის მიმდინარეობის შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 1 კვარტალში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1987 წ. 26 მაისი, № 270

ეროვ. სსრ ... ბიბლიოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1987 წლის 26 მაისის № 270 დადგენილებით

დროებითი დებულება

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული სამეურნეოანგარიშიანი საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. იმ მიზნით, რომ პრაქტიკული დახმარება გაეწიოთ ქალაქ თბილისის სახელმწიფო საწარმოებს (გაერთიანებებს)* და ორგანიზაციებს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის საკითხების მართვის სრულყოფის, მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მათი ეფექტიანი მუშაობის უზრუნველყოფის, საწარმო-ორგანიზაციების უფლება-მოვალეობათა გაფართოების პრინციპებით გათვალისწინებულ შესაძლებლობათა რაც შეიძლება სრული გამოყენების საქმეში, აგრეთვე მოსახლეობას — ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის, კოოპერატივთა შექმნისა და ფუნქციონირების საკითხებში, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ექსპერიმენტის წესით იქმნება საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსები“.

2. საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ ძირითადი ამოცანა ის არის, რომ გაუწიოს საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელობას (იმ შემთხვევაში, როცა საწარმოს ან ორგანიზაციისათვის არახელსაყრელია წამოჭრილი საკითხების გადასაწყვეტად იყოლიოს საკუთარი შტატი) და მოსახლეობის მომსახურება:

— საწარმოთა, ორგანიზაციათა და კოოპერატივთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გასაანალიზებლად და კვალიფიციური რეკომენდაციების შესამუშავებლად, რომელთა მიზანია საწარმოს, ორგანიზაციის ან კოოპერატივის ფინანსური მდგომარეობის განმტკიცება, საწარმოო და სოციალური განვითარებისათვის ფინანსური რესურსების შექმნა, მოგების (შემოსავლის) ზრდის უზრუნველყოფა შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის ხარისხის ამაღლების, თვითღირებულების შემცირების, ძირითადი ფონდების გამოყენების გაუმჯობესების ხარჯზე მუშაობის ორ და სამცვლიან რეჟიმზე გადასვლის პირობებში;

— მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობასთან დაკავშირებული საფინანსო-ეკონომიკური საკითხების კომპლექსის გადასაწყვეტად, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ახალი ფორმების დასანერგად და მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევისათვის ღონისძიებათა განსახორციელებლად;

— იმ ახალი ნორმატიული აქტების სწორად და რაციონალურად გამოყენებისათვის, რომლებიც არეგულირებენ საწარმოთა, ორგანიზაციათა და კოოპერატივთა საქმიანობის საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებს;

*) შემდგომ ეწოდება „საწარმოები“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საწარმოს ან ორგანიზაციის მართვის სტრუქტურის სრულყოფისათვის მმართველობის აპარატის შესანახად უმცირესი დანახარჯებით მაქსიმალური ეფექტიანობის მიღწევის მიზნით;

— საწარმოებში, ორგანიზაციებსა და კოოპერატივებში კონტროლის, აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემის მოსაგვარებლად, საბუღალტრო აღრიცხვის პროგრესული ფორმების დასანერგად;

— მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვით მოსალოდნელი ან ფაქტიურად მიღებული ეკონომიკური ეფექტიანობის განსასაზღვრავად, დანერგვის ღონისძიებათა განხორციელებისას მატერიალური, ფინანსური და სხვა რესურსების გამოყენების ოპტიმალური ვარიანტების შესარჩევად;

— სხვადასხვა სახეობის გამოსაშვები პროდუქციის ფასების (სახელშეკრულებო ფასების ან საწარმოს, ორგანიზაციისა და კოოპერატივის მიერ დამოუკიდებლად დაწესებული ფასების) პროექტების მომზადებისას გაანგარიშებათა განსახორციელებლად;

— ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისა და კოოპერატივთა შექმნის საკითხებზე საჭირო საინფორმაციო, საცნობარო და სხვა მასალებით ცალკეულ მოქალაქეთა უზრუნველსაყოფად;

— საფინანსო დაგეგმვისა და ანალიზის, კრედიტის, აღრიცხვის, ანგარიშგების, ფასწარმოქმნის დარგში სხვა სამუშაოთა შესასრულებლად და ა. შ.

3. საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსები“ მოქმედებს სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების საფუძველზე, მინიჭებული აქვს უფლებანი და ეკისრება მოვალეობანი.

4. საკონსულტაციო ორგანიზაციას „ფინანსებს“ ხელმძღვანელობს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილება.

5. თავის საქმიანობაში საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსები“ ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, სხვა სამინისტროებისა და უწყებების, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის დადგენილებებით, განკარგულებებითა და ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დროებითი დებულებით.

II. სამუშაოთა ორგანიზაცია

6. საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ მუშაობის ორგანიზაციას ახორციელებენ: ხელმძღვანელი — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგე და სამი შტატის მუშაკი: გამგის მოადგილე და ორი ინსპექტორი.

7. საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ ხელმძღვანელობა იწვევს კონსულტანტებად საწარმოთა, ორგანიზაციათა, კოოპერატივთა და ცალკეულ მოქალაქეთა შეკვეთების მიხედვით სამუშაოთა შესასრულებლად მსურველ

მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს სახალხო მეურნეობაში შრომითი საქმიანობით დასაქმებულ მუშაკთაგან და შესაბამისი პროფილით მუშაობის დიდი გამოცდილების მქონე პენსიონერთაგან.

სახალხო მეურნეობაში დასაქმებული სპეციალისტები სამუშაოთა შესასრულებლად შეიძლება მიწვეულ იქნენ მხოლოდ ძირითადი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს.

8. სამუშაოთა შესასრულებლად მიწვეული სპეციალისტები და პენსიონერები შეადგენენ საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ აქტივს. აქტივის პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

9. ცალკეულ შემთხვევებში საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ ხელმძღვანელობას შეუძლია მიიწვიოს სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო პროფილის სპეციალისტები, რომლებიც საკონსულტაციო ორგანიზაციის აქტივის შემადგენლობაში არ შედიან.

10. აქტივის წევრები და ცალკეულ შემთხვევებში მიწვეული სპეციალისტები საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ შტატის თანამშრომლები არ არიან.

11. შემკვეთ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, კოოპერატივებთან და ცალკეულ მოქალაქეებთან საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ ურთიერთობის ძირითადი ფორმაა სამუშაოთა განხორციელების თანდართული სამეურნეოანგარიშიანი ხელშეკრულება.

ხელშეკრულებაში აღინიშნება მომსახურების სახეობა, სამუშაოთა შესრულების შეთანხმებული ვადები, გასაწევი მომსახურების ანაზღაურების წესი და პირობები, ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა პასუხისმგებლობა და სხვა მაჩვენებლები.

12. ხელშეკრულების მიხედვით სამუშაოებს ასრულებენ კონსულტანტები. კონკრეტულ სამუშაოთა შესასრულებლად კონსულტანტთა რაოდენობასა და პერსონალურ შემადგენლობას განსაზღვრავს საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ ხელმძღვანელობა.

13. დადებული ხელშეკრულების ფარგლებში კონსულტანტები:

— უზრუნველყოფენ დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ მსჯელობას საწარმოში, ორგანიზაციაში ან კოოპერატივში არსებული მდგომარეობის შესახებ;

— ღრმად აანალიზებენ საწარმოთა, ორგანიზაციათა და კოოპერატივთა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ყველა მხარეს;

— შეიმუშავებენ კონკრეტულ წინადადებებს იმ მიზეზების აღმოსაფხვრელად, რომლებმაც უარყოფითად იმოქმედეს საწარმოთა, ორგანიზაციათა და კოოპერატივთა მიერ მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევაზე;

— შემკვეთის სურვილისამებრ ხელმძღვანელობენ მუშაობის ორგანიზაციას გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

— ატარებენ პრობლემის ექსპერტიზასა და დიაგნოსტირებას, აფორმულებენ მისი გადაწყვეტის ვარიანტებს, ეხმარებიან საწარმოთა, ორგანიზაცია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა და კოოპერატივთა ხელმძღვანელებს დაასაბუთონ თავიანთი წინადადებანი ზემდგომი მმართველობითი ორგანოების წინაშე;

— ამზადებენ ცალკეულ მოქალაქეთა შეკვეთით საინფორმაციო, საცნობარო და სხვა მასალებს ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისა და კოოპერატივთა შექმნის საკითხებზე;

— კონსულტაციას უწევენ საწარმოთა, ორგანიზაციათა და კოოპერატივთა ხელმძღვანელებს, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეებს ნორმატიული, საინსტრუქციო და სხვა ანალოგიური მასალების დებულებათა სწორად გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

14. საჭირო შემთხვევებში წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად კონსულტანტებს შეუძლიათ შესთავაზონ არატრადიციული მიდგომა და ახალი იდეები და უზრუნველყონ მათი პრაქტიკული რეალიზაცია.

15. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა კომპლექსის დამთავრების შემდეგ ხელშეკრულების უკანა მხარეზე შემკვეთი აღნიშნავს სამუშაოთა დამთავრებას და მიუთითებს კონკრეტულ კონსულტანტთა მიერ დახარჯულ დროს.

16. ცალკეულ მოქალაქეთათვის მომსახურების გაწევისას შეიტანება ჩანაწერი სპეციალურ ჟურნალში, სადაც აღინიშნება შეკვეთის შესრულებისათვის დახარჯული საათების რაოდენობა და ხელს მოაწერენ შემკვეთი და კონსულტანტი.

17. გაწეული მუშაობის არადამაკმაყოფილებელი ხარისხის ან შემკვეთსა და კონსულტანტს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში საათების რაოდენობის გამო შემკვეთის შენიშვნა ხელშეკრულების უკანა მხარეზე (შემკვეთის ხელმოწერა ჟურნალში) არ დაისმის და საკითხს წყვეტს საკონსულტაციო ორგანიზაციის ხელმძღვანელობა შემკვეთის მონაწილეობით.

18. საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ საბუღალტრო მომსახურებას ახორციელებს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ცენტრალიზებული ბუღალტერია.

III. ანგარიშსწორება შემკვეთებთან, შრომის ანაზღაურება და მატერიალური სტიმულირება

19. შემკვეთები — საწარმოები, ორგანიზაციები, კოოპერატივები და ცალკეული მოქალაქენი — ანაზღაურებენ საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ მომსახურებას ერთი კონსულტანტის 1 საათი მუშაობისათვის 2 მანეთის ოდენობით.

შემკვეთთაგან მიღებული სახსრები შეადგენს საკონსულტაციო ორგანიზაციის შემოსავალს.

20. საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ შემოსავლის შემადგენელი სახსრების ნაწილს იგი იყენებს შტატის თანამშრომელთათვის ხელფასის და კონსულტანტთათვის გასამრჯელოს მისაცემად, აგრეთვე მოწყობილობის, ინვენტარის შესაძენად და სხვა სამეურნეო საჭიროებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

21. ანგარიშსწორება შემკვეთებთან და კონსულტანტებთან ხორციელდება ხელშეკრულების მიხედვით სამუშაოთა მთელი კომპლექსის დამთავრების შემდეგ.

22. საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ შტატის თანამშრომელთა ხელფასი წესდება თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად.

კონსულტანტთა შრომის ანაზღაურება ხორციელდება ყოველი მთლიანად შესრულებული სამუშაოსათვის 1 მანეთის ოდენობით 1 საათი მუშაობისათვის.

23. საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ ჭარბი შემოსავლის თანხის 50 პროცენტი ჩაირიცხება თბილისის სახლხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივ ბიუჯეტში.

ჭარბი შემოსავლის თანხის დანარჩენ 50 პროცენტს საკონსულტაციო ორგანიზაციის ხელმძღვანელობა გამოიყენებს შტატის მუშაკთა და კონსულტანტთა მატერიალური წახალისების ფონდის შესაქმნელად.

24. მატერიალური წახალისების ფონდს საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ ხელმძღვანელობა იყენებს იმისათვის, რომ მისცეს პრემიები შტატის თანამშრომლებს თავიანთი საქმიანობის მაღალი შედეგების მიღწევისათვის და კონსულტანტებს კონკრეტულ განსაკუთრებით რთულ და პასუხსაგებ სამუშაოთა მაღალკვალიფიციური შესრულებისათვის.

25. შტატის თანამშრომლებს პრემიები მიეცემათ ყოველკვარტალურად. პრემიის ოდენობა, რომელიც მიეცემა შტატის თანამშრომელს კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით, არ უნდა აღემატებოდეს სქემის თანახმად დაწესებულ მის თვიურ თანამდებობრივ სარგოს.

პრემიები კონსულტანტებს მიეცემათ ცალკე ყოველი შესრულებული სამუშაოსათვის. ამასთან პრემიის ოდენობა, რომელიც მიეცემა კონსულტანტს კონკრეტული სამუშაოსათვის, არ უნდა აღემატებოდეს ამ სამუშაოს შესრულებისათვის მის მიერ მიღებული გასამრჯელოს თანხას.

26. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა უხარისხოდ შესრულების შემთხვევაში შემკვეთს უფლება აქვს არ აუნაზღაუროს საკონსულტაციო ორგანიზაციას მომსახურების ღირებულება, ხოლო სამუშაოს შემსრულებელი კონსულტანტი არ მიიღებს გასამრჯელოს.

27. ერთი და იგივე კონსულტანტის მიერ სამუშაოთა უხარისხოდ შესრულების განმეორებისას საკონსულტაციო ორგანიზაციის ხელმძღვანელობას უფლება აქვს დააყენოს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინაშე საკითხი საკონსულტაციო ორგანიზაციის აქტივის წევრთა შემადგენლობიდან ამ კონსულტანტის გამოყვანის შესახებ.

28. შემკვეთის მიზეზით ხელშეკრულების გაწყვეტის შემთხვევაში იგი მოვალეა აუნაზღაუროს საკონსულტაციო ორგანიზაციას „ფინანსებს“ ხელშეკრულების გაწყვეტის მომენტამდე განხორციელებულ სამუშაოთა სრული ღირებულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. უფლება-მოვალეობანი

29. საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ ხელმძღვანელობას უფლება აქვს:

— მიიღოს სამუშაოთა შესრულებისათვის შეკვეთები საწარმოების, ორგანიზაციების, კოოპერატივებისა და ცალკეული მოქალაქეებისაგან და დადოს მათთან შესაბამისი ხელშეკრულებანი;

— შემკვეთებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს გაწეული მუშაობის შედეგების განხილვაში;

— გაუსწოროს ანგარიში შემკვეთებსა და სამუშაოთა შესასრულებლად მიწვეულ კონსულტანტებს;

— მოამზადოს და წარადგინოს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის განსახილველად წინადადებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ საკონსულტაციო ორგანიზაციის საქმიანობის სრულყოფას.

30. საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ ხელმძღვანელობა მოვალეა:

— უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა კომპლექსის მაღალკვალიფიციური შესრულება დაწესებულ ვადებში;

— დროულად განიხილოს შემკვეთთა — საწარმოთა, ორგანიზაციათა, კოოპერატივთა და ცალკეულ მოქალაქეთა — პრეტენზიები და გასცეს მათ გამო დასაბუთებული დასკვნები;

— პერიოდულად (მაგრამ წელიწადში ორჯერ მაინც) განიხილოს გაწეული მუშაობის შედეგები აქტივის წევრთა მონაწილეობით და მიიღოს საჭირო ზომები საკონსულტაციო ორგანიზაციისა და ცალკეული კონსულტანტების საქმიანობაში გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

31. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილება მოვალეა უზრუნველყოს საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსები“ საინსტრუქციო, ნორმატიული და სხვა საჭირო მასალებით.

32. საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ მიერ თავისი ფუნქციების წარმატებით შესრულებისათვის მის ხელმძღვანელობას ეკისრება პასუხისმგებლობა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს წინაშე.

V. საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ ქონება

33. საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ ქონებას შეადგენენ მის მიერ თავისი ფუნქციების შესრულებისათვის საჭირო ძირითადი ფონდები და გაწეული მომსახურებისათვის გადასახდელის სახით შემკვეთთაგან შემოსული სახსრები.

34. საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ სახსრები გამოიყენება მოწყობილობის, ინვენტარის შესაძენად და სხვა სამეურნეო ხარჯებისათვის, აგრეთვე ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისათვის, შტატის მუშაკთა და კონსულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანტთა შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური სტიმულირებისათვის ამ დროებითი დებულების მე-20-25-ე პუნქტებით გათვალისწინებული წესით.

35. საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ მიერ გამოუყენებელი სახსრები მას არ ჩამოერთმევა და შეუძლია გამოიყენოს მომდევნო წლებში.

VI. საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით დადგენილი წესით და ვადებში, დაწყებულ სამუშაოთა შესრულებისათვის ზიანის მიუყენებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული სამეურნეოანგარიშიანი საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ დროებითი დებულების დანართი

ტიპობრივი ხელშეკრულება

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული სამეურნეოანგარიშიანი საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ მიერ სამუშაოთა განხორციელების თაობაზე

ქ. თბილისი „——“ ———————— 19——წ.

საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსებმა“, შემდგომ „შემსრულებლად“ წოდებულმა, ————————————————
(თანამდებობა, გვარი, სახელი, მამის სახელი)

სახით, ერთი მხრივ, და ————————————————
(საწარმოს, ორგანიზაციის ან კოოპერატივის

————————, შემდგომში „შემკვეთად“ წოდებულმა, ————————
დასახელება) (თანამდებობა,

———————————————— სახით, მეორე მხრივ, დავდეთ ეს ხელ-
გვარი, სახელი, მამის სახელი)

შეკრულება ქვემოაღნიშნულზე:

1. ხელშეკრულების საგანი

შემკვეთი ავალებს, ხოლო შემსრულებელი კისრულობს შეასრულოს შემდეგი სამუშაოები: ————————————————

————————————————

————————————————

2. სამუშაოთა შესრულების ვადა ————————————————

3. სამუშაოთა შესრულებასთან, ურთიერთანგარიშსწორებასთან, მხარეთა პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული და ყველა სხვა საკითხი რეგულირდება თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული სამეურნეოანგარიშიანი საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსების“ დროებითი დებულებით გათვალისწინებული წესით.

შემსრულებლის	შემკვეთის
ხელმოწერა ————————	ხელმოწერა ————————
შემსრულებლის	შემკვეთის
ბეჭდის ადგილი	ბეჭდის ადგილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

I. აღნიშვნა

ამ ხელშეკრულების მიხედვით სამუშაოთა დამთავრების შესახებ

(წერს შემკვეთი)

_____

_____

_____

2. ამ ხელშეკრულების მიხედვით სამუშაოთა შესრულებისათვის კონსულტანტების მიერ დახარჯული საათების რაოდენობა

№№ რიგ.	კონსულტანტის გვარი, სახელი, მამის სახელი	საათების რაოდენობა	კონსულტანტის ხელმოწერა
1			
2			
3			
4			
5			

შემსრულებლის ხელმოწერა _____

შემკვეთის ხელმოწერა _____

შემსრულებლის ბეჭდის ადგილი

შემკვეთის ბეჭდის ადგილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1987 წლის 26 მაისის № 270 დადგენილებით.

საშტატო განრიგი

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული სამეურნეოანგარიშიანი საკონსულტაციო ორგანიზაცია „ფინანსებისა“

თანამდებობა	საშტატო ერთეულების რაოდენობა	ხელფასი	სულ თვეში
	შეთავსებით (საზოგადოებრივ საწყისებზე)		
1. ხელმძღვანელი — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგე			
2. ხელმძღვანელის მოადგილე	1	200	200
3. უფროსი ინსპექტორი	1	155	155
4. ინსპექტორი	1	140	140
სულ	3	—	495

22 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო განათლების რესპუბლიკური საუწყებათაშორისო კომისიის დებულების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო განათლების რესპუბლიკური საუწყებათაშორისო კომისიის წინადადება და დამტკიცდეს დებულება აღნიშნული კომისიის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1987 წ. 8 ივნისი, № 306

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1987 წლის 8 ივნისის № 306 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო განათლების რესპუბლიკური საუწყებათაშორისო კომისიის შესახებ

1. ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 313 დადგენილების საფუძველზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 18 ივლისის № 471 დადგენილებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შექმნილია სახალხო განათლების რესპუბლიკური საუწყებათაშორისო კომისია.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო განათლების რესპუბლიკური საუწყებათაშორისო კომისია უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, ახალგაზრდა თაობის განათლებისა და აღზრდის სრულყოფის მიზნით სახალხო განათლების მართვის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო განათლების რესპუბლიკური საუწყებათაშორისო კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კანონებით და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებითა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, აგრეთვე მოქმედი ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო განათლების რესპუბლიკური საუწყებათაშორისო კომისიის ძირითადი ამოცანებია:

— კოორდინაცია გაუწიოს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, სასწავლო დაწესებულებათა საბაზო საწარმოების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების, აგრეთვე სხვა ორგანიზაციების საქმიანობას სახალხო განათლების სფეროში;

— უზრუნველყოს ახალგაზრდობის განათლების, პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის მთელი საქმის მკვეთრი გაუმჯობესება ზოგადსაგან-

ბანათლებლო, საშუალო სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური საგანმანათლებლო სასწავლებლების, სახალხო განათლების სხვა დაწესებულებების ხელმძღვანელობისა და მართვის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად განხორციელების საფუძველზე;

— უზრუნველყოს მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდების შრომითი სწავლებისა და საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობის პროცესში ჩაბმა, ამ მიზნით სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების მიერ მოწყობილობათა, სამუშაო ადგილების, კვალიფიციური კადრების, ნედლეულისა და მასალების გამოყოფა;

— ყველა ტიპის სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებათა (მიუხედავად უწყებრივი დაქვემდებარებისა) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფისა და ეფექტიანად გამოყენების საკითხების განხილვა;

— პედაგოგიური კადრების მომზადების, გამოყენებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის სრულყოფის, შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხების განხილვა;

— ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების, შრომითი და იდეურ-ზნეობრივი აღზრდის მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების, სახალხო განათლების განვითარების ძირითად მიმართულებათა შემუშავება;

— სახალხო განათლების მართვის სტრუქტურის სრულყოფის შესახებ წინადადებების განხილვა.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო განათლების რესპუბლიკურ საუწყებათაშორისო კომისიას უფლება აქვს:

— შეამოწმოს სამინისტროების, უწყებების, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაობა სახალხო განათლების განვითარებისათვის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად;

— მოისმინოს თავის სხდომებზე სამინისტროებისა და უწყებების, სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების, დაწესებულებებისა და ორგანიზციების ანგარიშები, ინფორმაციები სახალხო განათლების განვითარებისათვის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გაწეული მუშაობის შესახებ;

— კონტროლი გაუწიოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებულ სახალხო განათლების საუწყებათაშორისო კომისიების მუშაობას;

— ჩაატაროს რესპუბლიკური კონფერენციები, სემინარები და თათბირები სახალხო განათლების განვითარების აქტუალურ საკითხებზე.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო განათლების რესპუბლიკური საუწყებათაშორისო კომისია მუშაობს წინასწარ დამტკიცებული წლიური გეგმის მიხედვით. სხდომები ტარდება გეგმის შესა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამისად კვარტალში ერთხელ, საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ჩატარდეს დამატებითი სხდომა. კომისიის წევრები მონაწილეობენ სხდომების მუშაობაში შეცვლის უფლების გარეშე;

— სხდომათა შორის ოპერატიულ, პრაქტიკულ საკითხებზე, რომლებიც შესასრულებლად ეგზავნება შესაბამის ორგანოებს სათანადო მითითებით, გადაწყვეტილებას იღებს კომისიის თავმჯდომარე;

— სხდომების მუშაობა ფორმდება ოქმით, რომელიც შესასრულებლად ეგზავნება შესაბამის ორგანოებს;

— საჭიროების შემთხვევაში კომისია ამზადებს საკითხს და სათანადო წინადადებებით შეაქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო განათლების რესპუბლიკური საუწყებათაშორისო კომისიის გადაწყვეტილება, რომელსაც იგი იღებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სავალდებულოა შესასრულებლად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების, სამინისტროების, უწყებების, საბაზო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებულ სახალხო განათლების საუწყებათაშორისო კომისიებისათვის.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო განათლების რესპუბლიკური საუწყებათაშორისო კომისიის პრაქტიკული საქმიანობის განსახორციელებლად შემოღებულია პასუხისმგებელი მდივნის შტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23 აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სახალხო განათლების საუწყებათაშორისო კომისიების სანიმუშო დებულების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო განათლების რესპუბლიკური საუწყებათაშორისო კომისიის წინადადება და მოწონებულ იქნეს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სახალხო განათლების საუწყებათაშორისო კომისიების სანიმუშო დებულების პროექტი.

2. აღნიშნული დებულების პროექტი, გაეგზავნოს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს განსახილველად და დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1987 წ. 15 ივნისი, № 309

მოწონებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 15 ივნისის № 309 დადგენილებით

სანიმუშო დებულების პროექტი

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სახალხო განათლების საუწყებათაშორისო კომისიების შესახებ

1. ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 313 დადგენილების საფუძველზე ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან შექმნილია სახალხო განათლების საუწყებათაშორისო კომისიები.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სახალხო განათლების საუწყებათაშორისო კომისიებმა უნდა უზრუნველყონ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის ხელმძღვანელობის გაუმჯობესება, ახალგაზრდა თაობის განათლებისა და აღზრდის სრულყოფის მიზნით სახალხო განათლების მართვის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება.

3. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სახალხო განათლების საუწყებათაშორისო კომისიები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის კანონებით და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებითა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, აგრეთვე მოქმედი ნორმატიული აქტებითა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო განათლების რესპუბლიკური საუწყებათაშორისო კომისიის დადგენილებებითა და მითითებებით.

4. სახალხო განათლების საუწყებათაშორისო კომისია იქმნება აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილებებით, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებით.

კომისია შესაბამისად ექვემდებარება აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო, რაიონულ საბ-

ᲭᲝᲔᲑᲡ და მათს აღმასრულებელ კომიტეტებს, აგრეთვე საქართველოს სსრ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ საბჭოსთან არსებულ სახალხო განათლების რესპუბლიკურ საუწყებათაშორისო კომისიას.

სახალხო განათლების საუწყებათაშორისო კომისიის თავმჯდომარეა შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე.

კომისიის შემადგენლობაში შედიან პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანოების წარმომადგენლები, ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის, ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული უწყებების, საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ზოგადი განათლების, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების ორგანოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელი მუშაკები.

5. კომისიის ძირითადი ამოცანებია:

— კოორდინაცია გაუწიოს ავტონომიური რესპუბლიკის, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოების, განყოფილებების, უწყებების, საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ზოგადი განათლების, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების ორგანოებისა და დაწესებულებების საქმიანობას სახალხო განათლების სფეროში;

— ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება სახალხო განათლების დარგში, სასწავლებლების დაგეგმვისა და დაკომპლექტების ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტა, საჭირო ღონისძიებათა განხორციელება საბაზო საწარმოების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, სათანადო პირობების შექმნა მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და სწავლებისათვის;

— ზრუნვა რეგიონის სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და რაციონალურად გამოყენებისათვის, სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების, სკოლამდელი დაწესებულებებისა და განათლების სხვა ობიექტების საექსპლუატაციოდ დროულად გადაცემისათვის;

— ზომების მიღება სასწავლებლების კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებისათვის, მათი კვალიფიკაციის ამაღლების, შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

— ოჯახის, სასწავლებლების, საზოგადოებრიობისა და შრომითი კოლექტივების ურთიერთობათა ეფექტიანობის ამაღლება მოზარდი თაობის განათლებისა და აღზრდის გასაუმჯობესებლად;

— წინადადებათა მომზადება ზემდგომი ორგანოებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა რეალიზაციის, ავტონომიურ რესპუბლიკაში, ოლქში, ქალაქში, რაიონში, სახალხო განათლების შემდგომი განვითარების, საყოველთაო პროფესიულ განათლებაზე გადასვლის გეგმაზომიერი განხორციელების შესახებ და სხვ.

6. კომისია, მისთვის დაკისრებული ამოცანების შესრულების მიზნით:

— თავის სხდომებზე განიხილავს საკითხებს ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის, ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა რეალიზაციისათვის პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი ყოველმხრივი სრულყოფის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ახალგაზრდობის შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციისათვის მუშაობის ორგანიზაციის, სახალხო მეურნეობის განვითარების ეკონომიკური და სოციალური პროგრამის შესრულებაში აქტიური მონაწილეობისათვის ცხოვრებისა და შრომისათვის მისი მომზადების შესახებ;

— განიხილავს სახალხო განათლების სისტემაში პედაგოგიური კადრების რაციონალურად გამოყენების საკითხებს;

— ისმენს კომისიის სხდომებზე დაწესებულებათა, უწყებათა, საბაზო საწარმოთა, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა და სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე ცალკეული თანამდებობების პირთა ანგარიშებს ზოგადი საშუალო, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების ორგანოებისა და დაწესებულებების საქმიანობის სხვადასხვა საკითხზე, მათ მიერ გეგმებისა და დავალებების შესრულების შესახებ და იღებს საჭირო გადაწყვეტილებებს;

— წინასწარ განიხილავს ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოში შესატან გადაწყვეტილებათა, დადგენილებათა და განკარგულებათა პროექტებს სახალხო განათლების ორგანოთა და დაწესებულებათა საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

— განიხილავს წინადადებებს ავტონომიურ რესპუბლიკაში, ოლქში, ქალაქში, რაიონში სახალხო განათლების სისტემის მართვის ტერიტორიული სტრუქტურის სრულყოფის შესახებ, ამასთან ხელს უწყობს მართვის დემოკრატიული საწყისების შემდგომ განვითარებას და ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებას;

— უზრუნველყოფს უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-პედაგოგიურ ნამუშევართა, პედაგოგიკის მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევათა დანერგვას სახალხო განათლების ორგანოთა და დაწესებულებათა საქმიანობის პრაქტიკაში;

— განიხილავს არდადეგების პერიოდში და სასწავლო წლის განმავლობაში სწავლისაგან თავისუფალ დროს მოსწავლე ახალგაზრდობის სახალხო მეურნეობაში ინდივიდუალური შრომითი მოწყობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

7. კომისიის გადაწყვეტილებანი, რომელთაც იგი იღებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში სავალდებულოა შესასრულებლად შესაბამისი საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, უწყების, კოლმეურნეობის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მეურნეობის, სახალხო განათლების ორგანოს, დაწესებულებისა და სხვა ორგანიზაციისათვის.

8. კომისია თავის სხდომებს მართავს რეგულარულად, კვარტალში ერთხელ მაინც.

კომისიის წევრები მის სხდომებში მონაწილეობენ შეცვლის უფლების გარეშე;

კომისიის გადაწყვეტილებანი შესაბამის ორგანიზაციებს ეგზავნება კომისიის სხდომათა ოქმების ამონაწერების სახით, ოპერატიული ხასიათის საკითხებზე კომისიის სხდომათა შორის პერიოდში გადაწყვეტილებებს იღებს კომისიის თავმჯდომარე და ეგზავნება შემსრულებლებს სათანდო წერილობითი მითითებით.

ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან, სახლხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სახალხო განათლების საუწყებათაშორისო კომისია თავის მუშაობას ახორციელებს კომისიის თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული წლიური გეგმის მიხედვით.

---

24 საქართველოს სსრ ქალაქებში გადიდებულსართულიანი საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების მშენებლობის შესახებ

გადიდებულსართულიანი საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების მშენებლობის მოწესრიგების და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობაში კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ:

— 6-9-სართულიანი საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების დაპროექტება და მშენებლობა ხორციელდება:

ქალაქ თბილისში — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს სსრ სახმშენთან;

საქართველოს სსრ დანარჩენ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში — ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს დასკვნით და საქართველოს სსრ სახმშენის ნებართვით, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან;

— 9 სართულზე მაღალი საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების დაპროექტება და მშენებლობა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე დაიშვება შეზღუდული მოცულობით ქალაქების გენერალური გეგმებითა და დეტალური დაგეგმარების პროექტებით გათვალისწინებულ ადგილებში, როცა მაღლივი მშენებლობა გამართლებულია ქალაქმშენებლობის მოთხოვნებით და დადასტურებულია ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს, საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციის დასკვნით და საქართველოს სსრ სახმშენის ნებართვით, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან;

— საცხოვრებელი სახლების დაპროექტება და მშენებლობა საქართველოს სს რესპუბლიკაში უნდა განხორციელდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 დეკემბრის № 842 დადგენილებით დამტკიცებული საბინაო მშენებლობის გეგმიანი სტრუქტურის და ერთი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საშუალო ღირებულების შესაბამისად.

2. საქართველოს სსრ სახმშენმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორებმა უზრუნველყონ კონტროლი რესპუბლიკის ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 დეკემბრის № 842 დადგენილებით დამტკიცებული საბინაო მშენებლობის გეგმიანი სტრუქტურისა და საცხოვრებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლების ერთი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საშუალოდ ითვალისწინებულების დაცვისადმი.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 14 ოქტომბრის № 668 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხეიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1987 წ. 30 ივნისი, № 330

25 საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, კომპოზიტორ გ. გ. ცაბაძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „ხუთწლედის მატიანის" პრემიის ლაურეატის, თბილისის საპატიო მოქალაქის გიორგი გაბრიელის ძე ცაბაძის ხსოვნის უკვდავსაყოფად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიეკუთვნოს გ. გ. ცაბაძის სახელი ქ. თბილისის № 25 სამუსიკო სკოლას.

2. დაიდგას გ. გ. ცაბაძის ბიუსტი მის საფლავზე დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

3. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ დააწესოს თბილისის საესტრადო და საცირკო ხელოვნების სასწავლებლებში გ. გ. ცაბაძის სახელობის ერთი სტიპენდია ამ სასწავლებლისათვის გამოყოფილი სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

4. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ მოამზადონ და გამოსცენ მონოგრაფია გ. გ. ცაბაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

5. საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა 1988 წელს გამოსცეს გ. გ. ცაბაძის რჩეული სიმღერების კრებული.

6. საკავშირო ფირმა „მელოდიის" თბილისის გრამჩამწერმა სტუდიამ 1988 წელს გამოსცეს გ. გ. ცაბაძის ნაწარმოებთა საავტორო ფირფიტა გიგანტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა:

— გააკეთოს მემორიალური დაფა სახლზე, რომელშიც ცხოვრობდა გ. გ. ცაბაძე.

— უწოდოს გ. გ. ცაბაძის სახელი თბილისის ერთ-ერთ ქუჩას;

— კეთილმოაწყოს გ. გ. ცაბაძის საფლავი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, რისთვისაც დაიხარჯოს 3 ათას მანეთამდე.

8. შეუნარჩუნდეს გ. გ. ცაბაძის ოჯახს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მე-4 მთავარი სამმართველოს მომსახურებით სარგებლობის უფლება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხეიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1987 წ. 26 ივნისი, № 338

26 სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვ. ი. ანჯაფარიძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

დიდი ქართველი მსახიობის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სსრ კავშირის სახელმწიფო, შოთა რუსთაველისა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატის, სოციალისტური შრომის გმირის ვერა (ვერიკო) ივლიანეს ასული ანჯაფარიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ დააწესოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტთათვის ვ. ი. ანჯაფარიძის სახელობის ერთი სტიპენდია ამ ინსტიტუტისათვის გამოყოფილი სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

2. საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირმა:

— დააწესოს ვ. ი. ანჯაფარიძის სახელობის პრემიის მიკუთვნება ორ წელიწადში ერთხელ რესპუბლიკის თეატრებში ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის; შეიმუშაოს და დაამტკიცოს აღნიშნული პრემიის დებულება;

— გამოსცეს ვ. ი. ანჯაფარიძის მემუარები.

3. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა გამოსცეს მონოგრაფია ვ. ი. ანჯაფარიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა გადაიღოს ფილმი ვ. ი. ანჯაფარიძის შესახებ.

5. დაიდგას ვ. ი. ანჯაფარიძის ბიუსტი კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული აკადემიური თეატრის სკვერში.

6. ქ. თბილისში ვ. ი. ანჯაფარიძისა და მ. ე. ჭიაურელის მემორიალური მუზეუმის მოსაწყობად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა განიხილოს საკითხი ამ მუზეუმის 1988 წლიდან დაპროექტებისა და მშენებლობისათვის სახსრების გამოყოფის შესახებ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ დამუშავებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად.

7. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა:

— მიაკუთვნოს ვ. ი. ანჯაფარიძის სახელი ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას;

— გაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს, რომელშიც ცხოვრობდა ვ. ი. ანჯაფარიძე;

— კეთილმოაწყოს ვ. ი. ანჯაფარიძის საფლავი მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. ამ მიზნით დახარჯოს 5 ათას მანეთამდე.

8. ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა:

— მიაკუთვნოს ვ. ი. ანჯაფარიძის სახელი ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას;

— გაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს, რომელშიც დაიბადა და ცხოვრობდა ვ. ი. ანჯაფარიძე.

9. ეთხოვოს სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს მიაკუთვნოს ვ. ი. ანჯაფარიძის სახელი ერთ-ერთ მშენებარე გემს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხეიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1987 წ. 26 ივნისი, № 339

ეროვნული

27 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გ. ს. ჩიტაიას ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წინადადება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გიორგი სპირიდონის ძე ჩიტაიას ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ და ამასთან დაკავშირებით:

1. მიეკუთვნოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გ. ს. ჩიტაიას სახელი:

— ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმს;

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კაბინეტს;

— ქალაქ ფოთის ერთ-ერთ ქუჩას.

2. დაწესდეს გ. ს. ჩიტაიას სახელობის ერთი სტიპენდია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასტიპენდიო ფონდიდან ისტორიის ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტებისათვის.

3. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გაუკეთოს მემორიალური დაფა ა. ანტონოვსკაიას ქუჩის № 9 სახლს, სადაც ცხოვრობდა გ. ს. ჩიტაია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხეიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1987 წ. 26 ივნისი, № 340

ინდექსი—76187
ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 3, 1987 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/IX-87 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16.
საბეჭდი თაბახი 2,5, სააღრიცხვო თაბახი 2,5

შეკვეთა 822 უე 10325 ტირაჟი 1900

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა